# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის

# ბრძანება №371/ძ

ქ. თბილისი „02“ 07 2018

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის პროგრამის" ქვეპროგრამის „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები“ (ქვეპროგრამის კოდი: 060411) ფარგლებში სტიპენდიის მისანიჭებელ კანდიდატთა განაცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ**

„დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვალის №12 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, „ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვალის №12 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის №33 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის პროგრამის" ქვეპროგრამის „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები“ (ქვეპროგრამის კოდი: 060411) ფარგლებში სტიპენდიის მინიჭების მიზნით კანდიდატთა მიერ განაცხადების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 03 ივლისიდან 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
2. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსს ნინო ლობჟანიძეს ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება საქართველოს უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებისთვის.
3. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ამ ბრძანების გამოქვეყნება

საქართველო, თბილისი, 0102 თამარ მეფე (ჭონქაძის) ქ. 68, ტელ.: (032) 2-95-07-52

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციას კანონით დადგენილი წესით ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში, (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

6 . ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის ნ. ლობჟანიძის სამსახურებრივი ბარათი (№832274, 29/06/2018) .

მინისტრი მანანა ქვაჩახია